

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N077/16¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ეკატერინე ჯინჭარაძე (სტუდენტი)

1. საქმის ფაქტები

ადვოკატს, ზეპირი შეთანხმების შესაბამისად, კლიენტისთვის უნდა გაეწია იურიდიული მომსახურება სიხლის სამართლის საქმეზე, კერძოდ, კლიენტის მამამთილის გაურკვეველ გარემოებაში გარდაცვალების საქმეზე. ასევე, სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, კერძოდ, კლიენტის მიერ მეუღლისგან მემკვიდრეობით მიღებული მანქანის დაკარგვის საკითხზე და კლიენტის შვილის მიერ სამკვიდრო ქონების მიღების თაობაზე. კლიენტის პრეტენზია ეხებოდა ადვოკატის მიერ კლიენტისთვის კეთილსინდისიერი და კვალიფიციური მომსახურების სტანდარტის ასევე, ინფორმირების ვალდებულების დარღვევას. კერძოდ, ადვოკატი კლიენტს არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე და უზღუდავდა მასთან დაკავშირებას. ასევე, ადვოკატმა კლიენტს გამოართვა სადავო ქონების შეფასებისთვის საჭირო თანხა - 100 ლარი, თუმცა ადვოკატს ამასთან დაკავშირებით არანაირი იურიდიული მოქმედება არ შეუსრულებია. კლიენტის პრეტენზია ასევე შეეხო ადვოკატის მიერ საქმის მასალების ორიგინალების სახით არ დაბრუნებას. კლიენტმა ადვოკატს გადაუხადა ჰონორარი 900 ლარის ოდენობით. ადვოკატმა კლიენტს გაუგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინება, რომ დაუბრუნებდა ჰონორარის ნაწილს - 500 ლარს, თუმცა ადვოკატმა პირობა არ შეასრულა.

2. პროცესუალური ისტორია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა და მოითხოვა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ დარღვეული იყო შემდეგი ნორმები: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა); ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15.

3. სამართლებრივი შეფასება

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა წარმოიშობა მათ შორის ურთიერთშეთანხმებით, რის შემდგომაც ადვოკატს წარმოეშობა პროფესიული პასუხისმგებლობა დაიცვას ეთიკური ვალდებულებები, მათ შორის კეთილსინდისიერად განახორციელოს იურიდიული მოქმედებები, რისთვისაც მიმართავს მას კლიენტი. ადვოკატის მიერ მასზე მინდობილი საქმის სრულყოფილად და კეთილსინდისიერად წარმოება შეუძლებელია კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დაცვის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება ის გარემოება, რომ ადვოკატმა კეთილსინდისიერად აწარმოა რომელიმე საქმე, რის თაობაზეც შეუთანხმდა კლიენტს. კლიენტს ადვოკატისგან არ აქვს მიღებული არანაირი სახის ინფორმაცია მის საქმეებთან დაკავშირებით. ადვოკატის მიერ არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება გამოიხატა იმ ქმედების დროსაც, როდესაც მან კლიენტს გამოართვა სადავო ქონების შეფასებისთვის საჭირო თანხა, თუმცა ადვოკატს ამასთან დაკავშირებით არანაირი იურიდიული მოქმედება არ შეუსრულებია. კლიენტისთვის დღემდე უცნობია რა ეტაპზეა მისი საქმეები. იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატი უთანხმდება კლიენტს, რომ ის აწარმოებს გარკვეულ საქმეს და გაუწევს მას საადვოკატო მომსახურებას, ის იღებს პროფესიულ

¹ <https://gba.ge/pdf/5cda7f9c424ce.pdf/077.16%2025.06.18%20lali%20bejanishvili%20-%20tamar%20jafaridze%20-%20shechereba.pdf>

პასუხისმგებლობას, არამხოლოდ კეთილსინდისიერად საქმისწარმოების თაობაზე, არამედ ის ვალდებულია დროულად და სრულყოფილად მიაწოდოს სწორი ინფორმაცია კლიენტს საქმესთან დაკავშირებით. იმ პირობებში, როდესაც ადვოკატს არ განუხორციელებია მომსახურების უმეტესი ნაწილი, მათ შორის სისხლის სამართლის საქმის უპერსექტივობის გამო, ასევე არ მოუპოვებია ქონების შეფასება, ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატს უნდა დაებრუნებინა მის მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარი და აგრეთვე ხარჯების გაწევისთვის გადაცემული 100 ლარი. ადვოკატი ასევე ვალდებული იყო გადაეცა კლიენტის საქმესთან დაკავშირებით მიღებული და ნაწარმოები საქმის მასალები კლიენტის მოთხოვნისთანავე.

3.დასკვნა

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა არ განახორციელა კლიენტის მიმართ კეთილსინდისიერი და კვალიფიციური მომსახურება, ასევე ადვოკატმა დაარღვია კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, რითაც დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა) და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15. ეთიკის კომისიამ ადვოკატს დააკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა, კერძოდ, საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვის ვადით.

ეთიკის კომისიის წევრებმა გამოთქვეს განსხვავებული აზრი, რაც უავშირდებოდა სახდელის შემსუბუქებას.